საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 28 მაისის
დადგენილება №938

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2013 წლის 6 ივნის გამოცხადდეს ღია კონკურსი ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად 4 წლის ვადით.
2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 23 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2013 წლის 9 აგვისტოს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: **www.gtu.ge**.
3. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.
4. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2013 წლის სექტემბრიდან. (ბეჭდითი მედიის ორგანოსთვის განკუთვნილი განცხადების ტექსტი თან ერთვის).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე